



NATIONAL CENTER FOR
EDUCATIONAL QUALITY
ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა
ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა
ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო
პროგრამა
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა

(ა(ა)იპ) GIPA –საქართველოს საზოგადოებრივ
საქმეთა ინსტიტუტი

თბილისი
2025

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ	4
II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამელი დასკვნა	5
III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან	11
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	11
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	29
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	39
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	46
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	60

**ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო
დაწესებულების შესახებ**

ინსტიტუციის სახელწოდება მისი ორგანიზაციული სამართლებრივი ფორმის მითითებით	(ა(ა)იპ) GIPA –საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	204429341
დაწესებულების ტიპი	უნივერსიტეტი

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უნივერსიტეტი/ორგანიზაცია/ქვეყანა)	ასოცირებული პროფ. იურგეტა ვიზგირდაიძე, ვილნიუსის უნივერსიტეტის ბიზნესის სკოლა, ლიეტუვა
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ასოცირებული პროფ. მერაბ ხოხოზია, ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო.
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თამარ ბერიშვილი (სამართლის მაგისტრი), ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	პროფესორი: ირმა ქურდამე, სამცხე- ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტი/ SJSU საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	მირანდა ნონიკაშვილი, საქართველოს უნივერსიტეტი, საქართველო

I. ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ

	პროგრამა 1	პროგრამა 2	პროგრამა 3	პროგრამა 4	პროგრამა 5
საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	ბიზნესის ადმინისტრირება	ბიზნესის ადმინისტრირება	საჯარო მმართველობა	ადგილობრივი თვითმმართველობა	საჯარო მმართველობა
უმაღლესი განათლების საფეხური	ბაკალავრი	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	მაგისტრატურა	სადოქტორო პროგრამა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია	ბიზნესის ადმინისტრირების ბაკალავრი	ბიზნესის ადმინისტრირების მაგისტრი	საჯარო მმართველობის მაგისტრი	საჯარო მმართველობის მაგისტრი	საჯარო მმართველობის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413	მენეჯმენტი და ადმინისტრირება 0413
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/ საგნების/ საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება ¹	-	-	-	-	-
სწავლების ენა	ქართული	ქართული	ქართული	ქართული	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	180	120	120	120	60
პროგრამის სტატუსი (აკრედიტებული/არაკრედიტებული/პირობი თად აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	ახალი	აკრედიტებული 21.3.2019 N65	აკრედიტებული 27.11.2012 N717	აკრედიტებული 21.2.2018 N35	აკრედიტებული 10.12.2021 N1351420

¹ მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში

II. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემადგამებელი დასკვნა

- ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის შესახებ²

ბიზნესის ადმინისტრირებისა და საჯარო მმართველობის საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერი მოიცავს 5 საგანმანათლებლო პროგრამას:

1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
2. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
3. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
4. ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
5. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა.

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამები 2014 წლიდან ფუნქციონირებს GIPA-ში და ამზადებს პროფესიონალ კურსდამთავრებულებს. საერთაშორისო ტენდენციების შესაბამისად, საბაკალავრო პროგრამა 240 კრედიტიდან გადავიდა 180 კრედიტზე. GIPA საჯარო მმართველობის სფეროში მაღალი რეპუტაციით სარგებლობს და აკადემიური საზოგადოება, ისევე როგორც გარე პარტნიორები, ძალიან დადებითად აფასებენ ორივე სამაგისტრო პროგრამას, რომლებიც სრულად პასუხობს თანამედროვე მოთხოვნებს და ვითარდება კონტექსტის განვითარების შესაბამისად. რაც შეეხება საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამას, მან 2021 წელს დაიწყო ფუნქციონირება GIPA-ში და პირველ კურსდამთავრებულებს ელოდება.

- აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა

ადგილზე ვიზიტი განხორციელდა 2024 წლის 7–9 ოქტომბერს.

ადგილზე ვიზიტის დროს გაიმართა შეხვედრები პერსონალის შემდეგ წევრებთან და დაინტერესებულ მხარეებთან:

- უნივერსიტეტის მმართველ რგოლსა და ადმინისტრაციულ პერსონალთან;
- თვითშეფასების ანგარიშის მომზადებაზე პასუხისმგებელ გუნდთან;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან;
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან;
- დამსაქმებლებთან;
- სტუდენტებთან;
- კურსდამთავრებულებთან;
- ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან.

ექსპერტთა ჯგუფმა ასევე დაათვალიერა კამპუსი და გაეცნო სადიპლომო ნაშრომებს.

² პროგრამებთან დაკავშირებული ზოგადი ინფორმაციის მიმოხილვისას, მიზანშეწონილია ასევე წარმოდგენილი იყოს კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების რაოდენობრივი მონაცემების ანალიზი

საერთაშორისო ექსპერტისთვის - ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარისთვის უზრუნველყოფილი იყო სინქრონული თარგმანი. გარემო იყო პროფესიული და კონსტრუქციული.

• **საგანმანათლებლო პროგრამების კლასტერის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა**

- თვითშეფასების ანგარიშში მითითებული ყველა გრაფა შევსებულია;
 - თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი ინფორმაცია პირდაპირ შეესაბამება კონკრეტული სტანდარტის კომპონენტის შეფასების კრიტერიუმების მოთხოვნებს;
 - სტანდარტების დოკუმენტის მტკიცებულებების/ინდიკატორების სვეტში მითითებული დოკუმენტებისა და ინფორმაციის ტიპების ჩამონათვალი თან ერთვის.
 - ყველა სტანდარტთან მიმართებით წარმოდგენილია ძლიერი და გასაუმჯობესებელი მხარეები, თითოეული მათგანის კომპონენტების გათვალისწინებით;
 - მოწოდებული იქნა დამატებითი დოკუმენტები, როგორც ეს ექსპერტთა ჯგუფმა მოითხოვა ადგილზე ვიზიტის დროს.
1. ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.
 2. ანალოგიურად, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.
 3. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.
 4. ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.
 5. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა შესაბამისობაშია ხუთივე სტანდარტთან.

• **რეკომენდაციები კლასტერული**

რეკომენდაციები:

- ჯგუფური პროექტების შეფასებებს აკლია თანმიმდევრულობა ინდივიდუალური შეფასების კომპონენტში, რაც უკავშირდება სტუდენტის წვლილს ჯგუფურ მუშაობაში - შესაბამისად, რეკომენდებულია უფრო მკაფიო განმარტებების ჩამოყალიბება როგორც სილაბუსებში, ასევე დავალების შეფასების კრიტერიუმებში.
- შეფასებაში მკაფიოდ უნდა იყოს განსაზღვრული, თუ როგორ გაიზომება ინდივიდუალური მონაწილეობა ჯგუფურ პროექტებთან მიმართებაში, რაც უზრუნველყოფს როგორც შუალედური, ისე საბოლოო შეფასებების გამჭვირვალობას. ეს ინფორმაცია მკაფიოდ უნდა იყოს ასახული სილაბუსებსა და დავალების კრიტერიუმებში, რათა სტუდენტებმა ნათლად გაიგონ, თუ

როგორ აისახება მათი წვლილი საბოლოო შეფასებაზე (შენიშვნა: ეს რეკომენდაცია არ ეხება სადოქტორო პროგრამას).

- **რჩევები პროგრამის განვითარებისთვის**

კლასტერის რჩევები:

- სასურველია, GIPA-მ "დანერგოს იმ ახალი სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმები, რომლებიც პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის მიზნების განახლების შედეგად არის მიღებული, განსაკუთრებით დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით." სასურველია, ეს განხორციელდეს კლასტერის მომდევნო შეფასებისთვის, გასაუმჯობესებელი მხარეების გეგმის შესაბამისად.
- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა და GIPA -ს ადმინისტრაციამ შეიმუშაონ დამსაქმებლებთან სწავლის შედეგების კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი. დამსაქმებლების მოსაზრებებზე დაყრდნობით, GIPA-მ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კომპეტენციების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორიცაა კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი, ასევე რბილი უნარებისა და ციფრული / ხელოვნური ინტელექტის უნარების განვითარება. კურსდამთავრებულთა წინადადებაა, გაიზარდოს კომუნიკაცია სწავლის შედეგების განხილვის მიზნით, რათა უკეთ იქნეს წარმოჩენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგებს შორის განსხვავება.
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებში გადაიხედოს და განხილული იქნას სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონე (Mastering) ისე, რომ ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ საკვალიფიკაციო ნაშრომით. (ბიზნეს-გეგმა) - საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში და მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი - სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში.
- სასურველია, შუალედური და დასკვნითი შეფასებები სილაბუსებში უფრო დეტალურად და მკაფიოდ იყოს აღწერილი.
- სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს რბილი უნარების, ასევე შესაბამის პროფესიულ სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარის განვითარებას.
- სასურველია, გადაიხედოს სილაბუსები და განახლდეს იმგვარად, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად მოიცავდეს ქართულენოვან ლიტერატურასაც, რაც შესაბამისობაში იქნება პროგრამების სწავლების ენასთან.
- სასურველია, რომ ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურმა გააძლიეროს ინფორმირებულობა სამეცნიერო მოთხოვნების მინიმალური სტანდარტების შესახებ.

რჩევები ინდივიდუალური საგანმანათლებლო პროგრამისათვის: ბიზნესის

ადმინისტრირება, საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, გადაიხედოს მიზანი, რათა მასში აისახოს მეწარმეობის ასპექტი.

- სასურველია, სწავლის შედეგებში მეწარმეობის ასპექტი უფრო კონკრეტულად იქნას ხაზგასმული. ამასთანავე, სასურველია, გადაიხედოს სწავლის შედეგები, რათა ისინი შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის დონეს. კერძოდ, ისინი, რომლებიც უკავშირდება სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონეს (Mastering) და მის დიაპაზონს.
- სასურველია, მეწარმეობისა და სტარტაპების თემების უფრო ნათლად წარმოჩენა, ძალიან ტრადიციული ბიზნეს თემებიდან უფრო თანამედროვე თემებზე გადასვლის გზით.
- სასურველია, განხილულ იქნას ამჟამად შემოთავაზებული პრაქტიკული სამუშაოსა და სტაჟირების კომბინირება. შესაძლოა სტაჟირება ხელახლა იქნას შემოღებული, როგორც არჩევითი კურსი. სტუდენტებს, რომლებიც მუშაობენ ან აქვთ საკუთარი ბიზნესი, შესაძლოა შესთავაზონ შესაბამისი პირობები, რათა სტაჟირება გაიარონ სამუშაო ადგილზე და აჩვენონ, როგორ გამოიყენეს ნასწავლი თეორია პრაქტიკაში. შესაძლოა სტაჟირება იყოს ბიზნეს ლაბორატორიების კურსის კომპონენტი.
- სასურველია, ბიზნეს ლაბორატორიების სილაბუსებში უკეთ აისახოს პრაქტიკული ასპექტი და კომპანიებთან თანამშრომლობა, ასევე სამეწარმეო აზროვნებისა და უნარების განვითარება.
- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამისთვის პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა და შედეგების გადახედვა.

ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში ყურადღება გამახვილდეს სამეწარმეო აზროვნებისა და კომპეტენციის განვითარების მნიშვნელობაზე.
- სასურველია, გადაიხედოს სწავლის შედეგების შესაბამისობა კვალიფიკაციის დონეებთან.
- სასურველია, მეწარმეობის ასპექტების უფრო მკაფიოდ ინტეგრირება მოდულებში და შინაარსში.
- სასურველია, გაიზარდოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება.
- სასურველია, შინაარსობრივად მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევითი კომპეტენციების განვითარებას.
- სასურველია, პუბლიკაციების რაოდენობის გაზრდა და შედეგების გადახედვა. სამეცნიერო მიდგომა, განსაკუთრებით რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების ინტეგრირების თვალსაზრისით, უფრო მეტად უნდა იყოს ხაზგასმული. ამრიგად, სასურველია პუბლიკაციების შესაძლებლობების გაუმჯობესება, ასევე პრაქტიკული და თეორიული ელემენტების დაბალანსება ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამაში.

საჯარო მმართველობა - სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია, მონაცემთა ანალიზის კურსის შეთავაზება.

სამაგისტრო პროგრამა საჯარო მმართველობა და სამაგისტრო პროგრამა ადგილობრივი თვითმმართველობა

- სასურველია, რომ GIPA-ს ადმინისტრაციამ გამოკვეთოს საჯარო მმართველობის პროგრამების ძირითადი უპირატესობები და მთავარი მახასიათებლები და მათზე დაყრდნობით განავითაროს სასწავლო პროგრამები.

საჯარო მმართველობა -სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

- სასურველია პროგრამაში კვლევის მეთოდოლოგიის კომპონენტის გაძლიერება.
- სასურველია დოქტორანტებისთვის ფორმალური საკომუნიკაციო პლატფორმის შექმნა, რაც ხელს შეუწყობს მათ თანამშრომლობას, ურთიერთმხარდაჭერას და კვლევითი გარემოს გაძლიერებას მათი პროექტების მრავალფეროვნების გათვალისწინებით.
- სასურველია, სადოქტორო პროგრამამ პუბლიკაციების შედეგების გაუმჯობესების მიზნით, დააწესოს ჟურნალების შერჩევის მკაფიო კრიტერიუმები, როგორცაა ჟურნალების ხარისხის ინდიკატორების (Q) ან იმპაქტ-ფაქტორების გათვალისწინება, რაც საშუალებას მისცემს დოქტორანტებს უფრო სტრუქტურირებულად შეარჩიონ მათი კვლევისთვის შესაფერისი ჟურნალები.

• საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)³

წარმოდგენილი კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამებს გააჩნია გარე შეფასების ძლიერი კომპონენტი, რომლის მიხედვითაც წარმოდგენილი კლასტერის საგანმანათლებლო პროგრამები უაღრესად მნიშვნელოვანი და ინოვაციურია ქართულ საუნივერსიტეტო სივრცეში, ხოლო ინტერნაციონალიზაციის კომპონენტი წარმოდგენილია სხვადასხვა საერთაშორისო აქტივობებით.

- ინფორმაცია უსდ-ს არგუმენტირებული პოზიციის გაზიარების, ან არ გაზიარების თაობაზე
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

³ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული, ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამისათვის/პროგრამებისთვის

შეფასების მიდგომები აკრედიტაციის ექსპერტებისთვის:

აკრედიტაციის სტანდარტების კომპონენტები ფასდება შემდეგი ორი მიდგომის გამოყენებით:

1. კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება⁴
2. კლასტერული შეფასება⁵

სტანდარტის კომპონენტი:	შეფასების მიდგომები:
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	
1.1. პროგრამის მიზნები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	კლასტერული და ინდივიდუალური
1.3. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი	კლასტერული
3.2 საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი	კლასტერული და ინდივიდუალური
1.5 სასწავლო კურსი/საგანი	კლასტერული და ინდივიდუალური
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	
2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	კლასტერული და ინდივიდუალური
2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	კლასტერული
2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	კლასტერული
2.4. სტუდენტის შეფასება	კლასტერული
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	
3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო და მხარდამჭერი სერვისები	კლასტერული
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა	კლასტერული
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	
4.1. ადამიანური რესურსები	კლასტერული და

⁴ შეფასების მიდგომები: აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამის კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

⁵ შეფასების მიდგომები: საჭიროების შემთხვევაში აღწერეთ, გააანალიზეთ და შეაფასეთ კლასტერში დაჯგუფებული თითოეული საგანმანათლებლო პროგრამის შესაბამისობა სტანდარტის შესაბამისი კომპონენტის მოთხოვნებთან. ასევე, შეგიძლიათ მიუთითოთ საგანმანათლებლო პროგრამაზე ისეთი ინფორმაცია, რომელიც განსხვავებულია კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების ერთიანი და ძირითადი მახასიათებლებისაგან.

	ინდივიდუალური
4.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელების კვალიფიკაცია	კლასტერული და ინდივიდუალური
4.3. აკადემიური, სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის პროფესიული განვითარება	კლასტერული
4.4. მატერიალური რესურსი	კლასტერული და ინდივიდუალური
4.5. პროგრამის/ფაკულტეტის/სკოლის ბიუჯეტი და პროგრამის ფინანსური მდგრადობა	კლასტერული და ინდივიდუალური
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	
5.1. შიდა ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.2. გარე ხარისხის შეფასება	კლასტერული
5.3. პროგრამის მონიტორინგი და პერიოდული შეფასება	კლასტერული

III. პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უსდ-ს მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები. პროგრამის შინაარსი და თანმიმდევრული სტრუქტურა უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები სწავლის სფეროს შინაარსის გათვალისწინებით ლოგიკურად დაკავშირებულია ერთმანეთთან და ვითარდება უმაღლესი განათლების საფეხურების შესაბამისად.

1.1 პროგრამის მიზნები

პროგრამის მიზნები ითვალისწინებს სწავლის სფეროს, საფეხურისა და საგანმანათლებლო პროგრამის თავისებურებებს და ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვს მას სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მე-10 გვერდზე, ნაწილი 1.1. პროგრამის მიზნები - მოცემულია კლასტერის აღწერა და ანალიზი. კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები კარგად არის განსაზღვრული, მკაფიო, რეალისტური და მიღწევადია. მიზნები შეესაბამება შესაბამის სფეროებს და მიზნად ისახავს კონკურენტუნარიანი სპეციალისტების მომზადებას, რომლებიც აღჭურვილი იქნებიან შესაბამისი ცოდნით, უნარებითა და კომპეტენციებით. მიზნები შეესაბამება დარგის თანამედროვე და სამომავლო მოთხოვნებს და ხელს უწყობს მათ განვითარებას. ადგილზე ვიზიტისას სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრების დროს გამოიკვეთა მიმდინარე ტენდენციებსა და ცვლილებებზე რეაგირების უნარი, მათ შორის აკადემიურ პერსონალთან, სასწავლო პროგრამების ხელმძღვანელებთან, დამსაქმებლებთან, და კურსდამთავრებულებთან. აქცენტი კეთდება ინტერნაციონალიზაციაზე, პრაქტიკულ მიდგომასა და კვლევით კომპონენტზე.

კლასტერის მიზნები შესაბამისობაშია GIPA-ს მისიასთან, ხედვასა და სტრატეგიასთან, რაც ხაზს უსვამს თანამედროვე ცოდნის, თავისუფლებისა და დემოკრატიული ღირებულებების მნიშვნელობას. უფრო მეტიც, ადგილზე ვიზიტის დროს ჯგუფებმა მრავალგზის აღნიშნეს GIPA-ს, როგორც ბრენდის მყარი რეპუტაცია და ინსტიტუციური იმიჯი, განსაკუთრებით საჯარო მმართველობის სფეროში. ყველა ჯგუფმა დაადასტურა, რომ GIPA არის საჯარო მმართველობის წამყვანი სკოლა და ეს არის სწავლის ან სწავლების არჩევის ერთ-ერთი მიზეზი. GIPA-ს ჰყავს ძალიან ძლიერი და ერთგული საზოგადოება, რომლის წევრებიც მუდმივად ფლობენ განახლებულ ინფორმაციას და უახლეს ტენდენციებსა და პარადიგმებს. იზიარებენ. აკადემიური პერსონალი შესანიშნავად ახორციელებს საჭირო და შესაბამის ცვლილებებს, რეაგირებს გარე მოვლენებსა და სტუდენტების უკუკავშირზე. შეხვედრებზე დადასტურდა, რომ ადმინისტრაცია მხარს უჭერს აკადემიური პერსონალის თუ სტუდენტების სხვადასხვა ინიციატივებს. ექსპერტებს განუცხადეს, რომ GIPA-ში წარმატებით გამოიყენება ქვემოდან ზევით მიდგომა და ეს

სამაგალითოა. ასევე დადასტურდა, რომ სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების დონე ძალიან მაღალია. GIPA –ს ჰყავს კურსდამთავრებულები, რომლებიც ძალიან ამაყად აღნიშნავენ, რომ GIPA სტუდენტებს შრომის ბაზრისთვის და მნიშვნელოვანი პროფესიული პოზიციებისთვის ამზადებს. სანიმუშო კომუნიკაცია გამოვლინდა როგორც ექსპერტების მიმართ, ასევე ყველა შესაბამის დაინტერესებულ მხარესთან. სტუდენტები და კურსდამთავრებულები აცხადებენ, რომ GIPA რეგულარულად და უწყვეტად აგროვებს ყველა გამოხმაურებას და დროულად ახორციელებს ცვლილებებს. სტუდენტები გრძნობენ, რომ მათ უსმენენ და კმაყოფილები არიან თანამედროვე შენობითა და ინფრასტრუქტურით.

კლასტერის ძირითადი მიმართულებები მოიცავს:

- საგანმანათლებლო საქმიანობას, რომელიც ეფუძნება სამეწარმეო მიდგომას და აკადემიასა და შრომის ბაზარს შორის თანამშრომლობას. ეს ასევე შეიმჩნეოდა დამსაქმებლებისა და კურსდამთავრებულების პასუხებში, რომლებმაც წარმოადგინეს უამრავი მაგალითი, რომლებიც უკავშირდებოდა ბიზნეს-ქეისების განხილვას, კომპანიებში ვიზიტებს, ბიზნეს-გეგმის დაწერის შესაძლებლობებს და პროგრამის კურიკულუმით გათვალისწინებული პრაქტიკული მიდგომის განხორციელებას.
- ინტერნაციონალიზაცია ხაზს უსვამს სხვა უმაღლეს სასწავლებლებთან საერთაშორისო თანამშრომლობის მნიშვნელობას. უფრო მეტიც, საბაკალავრო პროგრამის „ბიზნესის ადმინისტრირება“ გადასვლა 240 კრედიტიდან 180 კრედიტზე არის მაგალითი იმისა, რომ მსგავსი სტანდარტების დაცვით GIPA მიზნად ისახავს გააძლიეროს თანამშრომლობა უცხოურ ინსტიტუტებთან. ის, რომ პროგრამის სასწავლო გეგმის ერთი მეათედი ინგლისურ ენაზე ისწავლება, მოსწონთ სტუდენტებს და ქმნის შესაძლებლობებს საერთაშორისო სტუდენტებისთვის.
- კვლევითი საქმიანობა GIPA-ს სტრატეგიული გეგმის მიხედვით, კლასტერი და სასწავლო პროგრამები მიზნად ისახავს კვლევის პროდუქტულობის გაზრდას. მიუხედავად ამისა, სამეცნიერო შედეგებთან დაკავშირებით ექსპერტთა ჯგუფი აღნიშნავს, რომ კლასტერში შემავალი თითოეული სასწავლო პროგრამის პუბლიკაციების შედეგები აჩვენებს, რომ პუბლიკაციების რაოდენობა არ არის სრულად საკმარისი და შესაძლებელია მისი გაზრდა, განსაკუთრებით ბიზნესის ადმინისტრირების ორივე საგანმანათლებლო პროგრამისთვის.

გარდა ამისა, როგორც თვითშეფასების ანგარიშშია აღწერილი და როგორც ეს ადგილზე ვიზიტის დროს შეხვედრებისას იყო განმარტებული, სასწავლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები დროულად ახლდება, რომელსაც კოორდინირებას უწევს GIPA-ს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური. დანართი 1 „საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები“ იძლევა ძალიან დეტალურ, კარგად დასაბუთებულ მონაცემებს თითოეული პროგრამის შესახებ. როგორც 28-ე გვერდზეა აღნიშნული, რეკომენდებულია, რომ GIPA-მ „დანერგოს იმ ახალი სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმები, რომლებიც პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის მიზნების განახლების შედეგად არის მიღებული, განსაკუთრებით დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით.“

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

თვითშეფასების ანგარიშის მე-11 გვერდზე "ბიზნესის ადმინისტრირების" საბაკალავრო პროგრამის მიზანი აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რომლებსაც უნდა ფლობდეს სპეციალისტი, რომელსაც პროგრამა ამზადებს. პროგრამის მიზანი ეფუძნება ბიზნესის ადმინისტრირების ძირითად სფეროებს, მათ შორის ფინანსებს, მარკეტინგს, მენეჯმენტსა და პროექტის მართვას. იმის გათვალისწინებით, რომ GIPA-თვის სამეწარმეო საქმიანობა წარმოადგენს პრიორიტეტულ მიმართულებას, სასურველია გადაიხედოს პროგრამის მიზნი და აისახოს მასში მეწარმოებასთან დაკავშირებული კომპონენტი.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის მიზანია ისეთი პროფესიონალების მომზადება, რომლებსაც შეუძლიათ პრობლემების გადაჭრა, კრიტიკული აზროვნება, კვლევის ჩატარება, გუნდური და ინდივიდუალური მუშაობა. თვითშეფასების ანგარიშის მე-12 გვერდზე მითითებულია, რომ პროგრამის მიზანია "მოამზადოს მაღალკვალიფიციური მეწარმე-მენეჯერი, რომლებსაც ექნებათ უნარი ეფექტურად მართონ რთული ორგანიზაციული სტრუქტურები და გაუმკლავდნენ გამოწვევებს სხვადასხვა სექტორში, მათ შორის კერძო, საჯარო თუ არასამთავრობო სექტორში, რაც ხელს შეუწყობს ორგანიზაციული ღირებულების ზრდას." რამდენადაც პროგრამის მიზანია მეწარმეების მომზადება, სასურველია სამაგისტრო პროგრამაში ხაზი გაესვას სამეწარმეო აზროვნებისა და კომპეტენციის განვითარების მნიშვნელობას.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა და ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგისტრატურა

თვითშეფასების მე-6, მე-7, მე-12 და მე-13 გვერდებზე ნათლად არის დასაბუთებული ორივე სამაგისტრო პროგრამის - "საჯარო მმართველობისა" და "ადგილობრივი თვითმმართველობის" - ძირითადი მახასიათებლები და მიზნები. ექსპერტთა ჯგუფი ხედავს გარკვეულ მსგავსებებს ორ პროგრამას შორის, მათ შორის მიზნებში და შესაბამისად, სწავლის შედეგებსა და კურიკულუმში. მიუხედავად ამისა, ორივე პროგრამა აქვს მიღების ადექვატური რაოდენობა, სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების კმაყოფილების საჭირო დონე, დამსაქმებლების დადებით შეფასებები, შესაბამისი სამეცნიერო პროდუქტიულობა. ამდენად, რეკომენდებულია, რომ მომავალში GIPA-ს ადმინისტრაციამ გადააფასოს, რამდენად უზრუნველყოფს ორ პროგრამას შორის არსებული მსგავსებები ფინანსურ და ზოგად პროგრამულ მდგრადობას, ან საჭიროა თუ არა გარკვეული გადაწყვეტილებების მიღება ამის უზრუნველსაყოფად.

თვითშეფასების ანგარიშის პირველი ნაწილის ყველა ქვეთავში დამატებით განხილულია, რამდენად ემთხვევა ერთმანეთს ამ ორი პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები, სტრუქტურა და შინაარსი, მათ შორის სილაბუსები. შესაბამისად, GIPA-ს

ადმინისტრაციამ უნდა მიიღოს სტრატეგიული გადაწყვეტილება, რადგან ის უკავშირდება საჯარო მმართველობის სფეროში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების პორტფელის ეფექტურ მართვას.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობა, სადოქტორო პროგრამა

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამის განხორციელება GIPA-ში 2021 წლიდან დაიწყო და ჯერ არ ჰყავს კურსდამთავრებული. იგი შეიქმნა GIPA -ს გამოცდილებისა და საერთაშორისო თანამშრომლობის საფუძველზე. "საჯარო მმართველობის" სადოქტორო პროგრამის მიზნია ამ სფეროში ახალი ცოდნის შექმნა სათანადო კვლევებზე დაყრდნობით და საჯარო მმართველობის მიმართულებით განათლების შემდგომი განვითარება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- უნივერსიტეტის მისია;
- უნივერსიტეტის სტრატეგიული განვითარების გეგმა;
- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა.
- ანალოგიური პროგრამების ანალიზის დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, რომ GIPA-ს ადმინისტრაციამ გამოკვეთოს საჯარო მმართველობის პროგრამების ძირითადი უპირატესობები და მთავარი მახასიათებლები და მათზე დაყრდნობით განავითაროს სასწავლო პროგრამები.
- სასურველია, GIPA-მ "დანერგოს იმ ახალი სწავლის შედეგების გაზომვის მექანიზმები, რომლებიც პროგრამის სტრუქტურისა და სწავლის მიზნების განახლების შედეგად არის მიღებული, განსაკუთრებით დარგობრივი მახასიათებლების გათვალისწინებით." სასურველია, ეს განხორციელდეს კლასტერისმომდევნო შეფასებისთვის, როგორც ეს გასაუმჯობესებელი მხარეების გეგმაშია მოცემული.



რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: ბიზნესის

ადმინისტრირება, ბაკალავრიატი

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, გადაიხედოს მიზანი, რათა მასში აისახოს მეწარმეობასთან დაკავშირებული ასპექტი.

ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა.

რეკომენდაცი (ა)ები: არ არის მითითებული. რჩევ(ა)ები:

- იმის გათვალისწინებით, რომ პროგრამა მიზნად ისახავს მეწარმეების მომზადებას, სასურველია სამაგისტრო პროგრამაში განსაკუთრებული ყურადღება გამახვილდეს სამეწარმეო აზროვნებისა და კომპეტენციების განვითარებაზე.

შეფასება 7

კომპონენტი 1.1 პროგრამის მიზნები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი	X	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგისტრატურა	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, დოქტორანტურა	X	☐	☐	☐

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები ლოგიკურად არის დაკავშირებული პროგრამის მიზნებთან და სწავლის სფეროს თავისებურებებთან.
- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებს, ან/და პასუხისმგებლობას და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

ვიზიტის დროს ექსპერტთა ჯგუფს განემარტა, რომ კლასტერში გაერთიანებული საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგები გადაიხედა და განახლდა როგორც ეროვნული საკანონმდებლო მოთხოვნების, ისე შრომის ბაზრის გარე მოთხოვნების შესაბამისად. სხვადასხვა დაინტერესებული მხარეების, მათ შორის სტუდენტების, კურსდამთავრებულების, დამსაქმებლებისა და შესაბამისი გარე პარტნიორების მოსაზრებები შეგროვდა და გათვალისწინებულ იქნა სწავლის შედეგების შემუშავებისას. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები განსაზღვრავს აუცილებელ ცოდნას, უნარებს, შესაძლებლობებსა და კომპეტენციებს, რომელსაც კურსდამთავრებულები გამოიმუშავენ პროგრამის დასრულების შემდეგ. სწავლის შედეგები ეფუძნება ბლუმის ტაქსონომიას. თვითშეფასების ანგარიშის მე-14 გვერდზე მითითებულია, რომ სწავლის შედეგები მიიღწევა სასწავლო პროგრამის ლოგიკური და თანმიმდევრული დაგეგმვისა და შესაბამისი შეფასების მეთოდების გამოყენებით. თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, სწავლის შედეგები ავითარებს კვლევით და პრაქტიკულ უნარებს, შემუშავებულია საერთაშორისოდ აღიარებული სამიზნე ნიშნულების მიხედვით და ხაზს უსვამს კვლევის მეთოდოლოგიასა და საკვალიფიკაციო ნაშრომს სამივე - საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო საფეხურზე. სწავლის შედეგები არის თანამედროვე, მიზნად ისახავს შესაბამისი, აქტუალური კვალიფიკაციების განვითარებას და სტუდენტების მომზადებას წარმატებული კარიერისთვის.

მიუხედავად იმისა, რომ სწავლის შედეგების განახლების პროცესში ჩართული იყვნენ დამსაქმებლები, ექსპერტთა ჯგუფისთვის ცნობილი გახდა, რომ დამსაქმებლები არ იცნობენ საგანმანათლებლო პროგრამების სწავლის შედეგებს. შესაბამისად, სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა და GIPA-ს ადმინისტრაციამ მოძებნონ სათანადო გზები დამსაქმებლებისათვის სწავლის შედეგების გასაცნობად. ამასთანავე, დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ აუცილებელია გაძლიერდეს სტუდენტთა კომპეტენციების განვითარება შემდეგი მიმართულებებით: კვლევის მეთოდოლოგია, მონაცემთა ანალიზი, რბილი უნარები და ციფრული ტექნოლოგიები, მათ შორის ხელოვნური ინტელექტი. გარდა ამისა, შეხვედრების დროს კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს აზრი, რომ სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგების შესახებ უკეთესი კომუნიკაციის უზრუნველყოფა, რათა უფრო მკაფიოდ გამოიკვეთოს განსხვავება ამ ორ პროგრამას შორის.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაში ჩამოთვლილია სწავლის შედეგები, რომლებიც შესაბამისობაშია როგორც უმაღლესი განათლების საბაკალავრო საფეხურთან, ასევე სწავლის სფეროსთან. იგი მოიცავს ისეთ ძირითად სფეროებს, როგორიცაა ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი და პროექტების მართვა. ასევე, როგორც უკვე აღინიშნა მიზნებთან დაკავშირებულ ნაწილში, ვინაიდან GIPA-ს და სწავლის სფეროს/კლასტერის ერთ-ერთი ძირითადი მიმართულება მეწარმეობაა, სასურველია, უფრო კონკრეტულად იყოს იგი ხაზგასმული სწავლის შედეგებშიც. ამასთანავე, სასურველია, გადაიხედოს სწავლის შედეგები, რათა ისინი შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის დონეს. კერძოდ, ისინი, რომლებიც უკავშირდება სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონეს (Mastering) და მის დიაპაზონს.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება სამაგისტრო საფეხურის მოთხოვნებს, სწავლის სფეროს მოთხოვნებს, ასევე გარე გარემოს (შრომის ბაზრისა და საზოგადოების) მოთხოვნებს. თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი მსჯელობისა და არგუმენტაციის მიუხედავად, სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებთან შეხვედრისას ექსპერტთა ჯგუფს შეექმნა შთაბეჭდილება, რომ სამაგისტრო პროგრამა შეიძლება გაუმჯობესდეს სამეცნიერო მიდგომის, მათ შორის რაოდენობრივი და თვისებრივი მეთოდების, უფრო მეტად გაძლიერებით. ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის სტუდენტებმა განმარტეს, რომ ისინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებენ პრაქტიკულ მიდგომას MBA პროგრამაში, თუმცა დარწმუნებულები არიან, რომ ასევე აუცილებელია კვლევითი ნაწილის გაძლიერებაც. უფრო მეტიც, სასურველია, გადაიხედოს და გადაისინჯოს სწავლის შედეგების საკვალიფიკაციო დონეებთან შესაბამისობა.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა და ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

საჯარო მმართველობის ორივე სამაგისტრო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება როგორც უმაღლესი განათლების საფეხურის, ასევე სწავლის სფეროს მოთხოვნებს. როგორც მიზნების ნაწილშია აღნიშნული, თვითშეფასების ანგარიშში წარმოდგენილი შედეგებისა და სხვადასხვა ჯგუფებთან შეხვედრებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ცხადი გახდა, რომ პროგრამას აქვს მიღების და კურსდამთავრებულთა რაოდენობის მაღალი მაჩვენებლები და ასევე მაღალია სტუდენტების, კურსდამთავრებულების და დამსაქმებლების კმაყოფილების მაჩვენებლები. მიუხედავად ამისა, ექსპერტთა ჯგუფს აქვს ერთგვარად დასაფიქრებელი მოსაზრება სწავლის შედეგების ძალიან დიდ მსგავსებასთან დაკავშირებით, სადაც ერთადერთი განმასხვავებელი ფაქტორი არის ერთ-ერთი საგანმანათლებლო პროგრამის ადგილობრივი ასპექტი. შესაბამისად, სასურველია, რომ GIPA -ს ადმინისტრაციამ უფრო მკაფიოდ გამოკვეთოს, თუ რითი გამოირჩევა და რა არის განსაკუთრებული თითოეულ პროგრამაში, და სწორედ ამ

განმასხვავებელ მახასიათებლებზე დაყრდნობით შექმნას პროგრამების შინაარსი. ამის მიღწევა შესაძლებელია სხვადასხვა გზით, როგორცაა სპეციალიზაციების შეთავაზება, ერთ-ერთი პროგრამის სრულად ინგლისურ ენაზე განხორციელება და სხვა მსგავსი მიდგომები. თუმცა, ეს გადაწყვეტილება მიღებულ უნდა იქნას GIPA -ს მიერ, პროგრამის მდგრადი მართვის უზრუნველყოფის მიზნით.

აღწერა და ანალიზი - სადოქტორო პროგრამა საჯარო მმართველობა

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა ავითარებს სადოქტორო საფეხურისა და საჯარო მმართველობის სფეროსთვის შესაფერის ცოდნას, გაცნობიერებას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რაც უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის სფეროში ახალ სამეცნიერო აღმოჩენებს და ინოვაციური მიდგომების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა.
- აკადემიურ და მოწვეულ პერსონალთან შეხვედრების ანგარიში;
- ანალოგიური პროგრამების ანალიზის დოკუმენტი;
- შრომის ბაზრის კვლევა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, საგანმანათლებლო პროგრამების ხელმძღვანელებმა და GIPA-ს ადმინისტრაციამ შეიმუშაონ დამსაქმებელთან სწავლის შედეგების კომუნიკაციის ეფექტური მექანიზმი. დამსაქმებლების მოსაზრებებზე დაყრდნობით, GIPA-მ მეტი ყურადღება უნდა დაუთმოს კომპეტენციების განვითარებას ისეთ სფეროებში, როგორცაა კვლევის მეთოდოლოგია და მონაცემთა ანალიზი, ასევე რბილი უნარებისა და ციფრული / ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარების განვითარება. კურსდამთავრებულთა წინადადებაა, გაიზარდოს კომუნიკაცია სწავლის შედეგების განხილვის მიზნით, რათა უკეთ იქნეს წარმოჩენილი საბაკალავრო და სამაგისტრო პროგრამების სწავლის შედეგებს შორის განსხვავება.

□

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, სწავლის შედეგებში უფრო მკაფიოდ იყოს ხაზგასმული მეწარმოების ასპექტი. ამასთანავე, სასურველია გადაისინჯოს სწავლის შედეგების შესაბამისობა კვალიფიკაციის დონეებთან. განსაკუთრებით ისინი, რომლებიც უკავშირდება სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონეს (Mastering) და მის დიაპაზონს.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცი(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია სამაგისტრო პროგრამაში უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს სამეცნიერო მიდგომას, განსაკუთრებით რაოდენობრივი და თვისებრივი კვლევის მეთოდების გაძლიერებას ამასთანავე, სასურველია, გადაიხედოს სწავლის შედეგები, რათა ისინი შეესაბამებოდეს კვალიფიკაციის დონეს.

შეფასება

კომპონენტი 1.2 პროგრამის სწავლის შედეგები	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება, ბაკალავრიატი	X	□	□	□
ბიზნესის ადმინისტრირება, მაგისტრატურა	X	□	□	□
საჯარო მმართველობა, მაგისტრატურა	X	□	□	□
ადგილობრივი თვითმმართველობა, მაგისტრატურა	X	□	□	□
საჯარო მმართველობა, დოქტორანტურა	X	□	□	□

1.3 პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი

- განსაზღვრულია პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს.
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის მე-20 გვერდზე განმარტებულია, რომ სასწავლო პროგრამების სწავლის შედეგები ფასდება პირდაპირი და არაპირდაპირი მეთოდებით. თითოეულ პროგრამას შემუშავებული აქვს სამიზნე ნიშნულები. სწავლის თითოეული შედეგისთვის განსაზღვრულია მიღწევის სხვადასხვა დონე. პირდაპირი მეთოდები მოიცავს სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას, რომელიც კონტროლდება ყოველ სემესტრში. სწავლის შედეგების შეფასება ასევე მოიცავს არაპირდაპირ მეთოდებს, როგორიცაა თვითშეფასება და ფოკუს ჯგუფები შესაბამის დაინტერესებულ მხარეებთან - სტუდენტებთან, კურსდამთავრებულებთან, დამსაქმებლებთან. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებისას დაინტერესებულმა მხარეებმა აღნიშნეს, რომ ისინი აწვდიან უკუკავშირს და ადმინისტრაცია მის საფუძველზე ახორციელებს საჭირო ცვლილებებს.

პროგრამის მიზნებსა და სწავლის შედეგებს შორის, ასევე სწავლის შედეგებსა და კურსებს შორის შესაბამისობის რუკები წარმოდგენილია დანართ 1-ში "საგანმანათლებლო პროგრამები და სილაბუსები", სადაც ასევე არის განმარტებული შეფასების მექანიზმები. საგნები დაყოფილია შემდეგ კატეგორიებად: შესავალი კურსები (I), განვითარების კურსები (D), სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევაზე ორიენტირებული კურსები (M), ასევე ზოგიერთ პროგრამაში შედის პრაქტიკული (P) კომპონენტი. ამრიგად, რუკებზე ნაჩვენებია, თუ როგორ უწყობს ხელს თითოეული სავალდებულო საგანი ან კვლევის კომპონენტი პროგრამის შედეგების მიღწევას.

მიზანშეწონილია, რომ თვითშეფასების ანგარიშის განხილვისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული ინტერვიუებიდან მიღებული ინფორმაციის საფუძველზე, ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებმა გადახედონ და გადაამუშაონ სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონის (Mastering) კომპონენტი, რათა ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ საკვალიფიკაციო ნაშრომით (ბიზნეს-გეგმა) - საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში და მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი - სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში.

დადებითად უნდა შეფასდეს, რომ აკადემიური და მოწვეული პერსონალი გადიან ტრენინგებს სხვადასხვა შესაბამის სფეროში, მათ შორის შეფასების მეთოდებში. ასევე ხაზგასმულია, რომ სტუდენტი ძალიან აქტიურ როლს ასრულებს როგორც სწავლის,

ისე შეფასების პროცესში. ხორციელდება მიღებული ცოდნის უწყვეტი შეფასება. სტუდენტთა სწავლის შედეგების შესაფასებლად გამოიყენება შუალედური (ერთჯერადი ან მრავალჯერადი) და შემაჯამებელი შეფასებები. შეფასების ფორმები, სილაბუსები დეტალურად ასახავს კურსის სწავლის შედეგებს, სწავლისა და შეფასების მეთოდებს შორის კონსტრუქციულ შესაბამისობას. შეფასების სტრატეგია მოცემულია თითოეულ სილაბუსში და ეცნობება სტუდენტებს სწავლის დაწყებისას. კრედიტების მისაღებად აუცილებელია დადებითი შეფასება. კონკრეტული დავალებაში ჩაჭრის შემთხვევაში, სტუდენტს შეუძლია გადააბაროს იგი დადგენილი პროცედურების შესაბამისად.

სწავლებისა და შეფასების მიზნებისთვის პროგრამებში გამოიყენება სხვადასხვა ინოვაციური მეთოდი: ბიზნეს ქეისები, სიმულაციები, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება და სხვ.

შეფასების შესახებ კარგად დასაბუთებული ნარატივის მიუხედავად, სტუდენტებთან ინტერვიუების დროს გამოიკვეთა ორი ძირითადად საკითხი - ა) სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ სამაგისტრო პროგრამებში შუალედური და დასკვნითი შეფასებების გაზომვის მეთოდები რთულად აღსაქმელია და საჭიროებს უფრო დეტალურ აღწერას სილაბუსებში; ბ) ჯგუფური პროექტების შეფასებაში არ არის მკაფიოდ გაწერილი, როგორ ფასდება თითოეული სტუდენტის ინდივიდუალური წვლილი ჯგუფურ მუშაობაში - შესაბამისად, სასურველია უკეთესი განმარტებები იყოს მოცემული როგორც სილაბუსებში, ისე დავალების შეფასების კრიტერიუმებში.

სადოქტორო პროგრამა იყენებს ისეთ მეთოდებს, როგორიცაა დისკუსია და დებატები, თანამშრომლობითი სწავლება და კოლაბორაციული მუშაობა, რაც უზრუნველყოფს დოქტორანტების აქტიურ მომზადებას მომავალი აკადემიური და პედაგოგიური საქმიანობისთვის. სადოქტორო პროგრამა განსაკუთრებულ ყურადღებას ანიჭებს დოქტორანტების პრაქტიკულ საქმიანობაში ჩართვას, კრიტიკული და მეტაკოგნიტური უნარების განვითარებას, რეფლექსიის წახალისებასა და აკადემიური ჩანაწერების წარმოებას.

თითოეულ პროგრამაში დეტალურადაა აღწერილი დასაქმების შესაძლებლობები და ის ადამიანური და მატერიალური რესურსები, რომლებიც სწავლის შედეგების მიღწევისა და პროგრამების განხორციელებისთვისაა საჭირო.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და კურიკულუმის რუკა;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და კურიკულუმის რუკა;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა და კურიკულუმის რუკა;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა და კურიკულუმის რუკა;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა და კურიკულუმის რუკა;
- სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმები;

კლასტერის საერთო რეკომენდაციები:

- ჯგუფური პროექტების შეფასებებს აკლია თანმიმდევრულობა ინდივიდუალური შეფასების კომპონენტში, რაც უკავშირდება სტუდენტის წვლილს ჯგუფურ მუშაობაში - შესაბამისად, რეკომენდებულია უფრო მკაფიო განმარტებების ჩამოყალიბება როგორც სილაბუსებში, ასევე დავალების შეფასების კრიტერიუმებში.

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, ბიზნესის ადმინისტრირების როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო პროგრამებში გადაიხედოს და განხილული იქნას სწავლის შედეგების სრულყოფილად მიღწევის დონე (Mastering) ისე, რომ ის არ შემოიფარგლოს მხოლოდ საკვალიფიკაციო ნაშრომით. (ბიზნეს-გეგმა) - საბაკალავრო პროგრამის შემთხვევაში და მხოლოდ სამაგისტრო ნაშრომი/პროექტი - სამაგისტრო პროგრამის შემთხვევაში.
- სასურველია, შუალედური და დასკვნითი შეფასებები სილაბუსებში უფრო დეტალურად და მკაფიოდ იყოს აღწერილი.

შეფასება

კომპონენტი პროგრამის შედეგების მექანიზმი	1.3 სწავლის შეფასების	შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა (BBA)		☐	X	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა (MBA)		☐	X	☐	☐
საჯარო მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა		☐	X	☐	☐

ადგილობრივი თვითმმართველობა სამაგისტრო პროგრამა	☐	X	☐	☐
საჯარო მმართველობა, სადოქტორო პროგრამა	☐	X	☐	☐

1.4. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

- პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით.
- პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამები შეესაბამება ეროვნულ მოთხოვნებს, ბოლონიის პროცესსა და ინსტიტუციურ რეგულაციებს. პროგრამა ვითარდება გეგმაზომიერად, ეყრდნობა შრომის ბაზრის მოთხოვნებს და ითვალისწინებს როგორც ადგილობრივ, ისე საერთაშორისო დონეზე არსებულ საუკეთესო პრაქტიკას. პროგრამების განახლება ეფუძნება უახლეს კვლევით მიგნებებსა და თანამედროვე ტენდენციებს, პროცესში ჩართულია ყველა შესაბამისი დაინტერესებული მხარე. ტრანსფერული კომპეტენციების განვითარება უზრუნველყოფს სტუდენტების მომზადებას შესაბამისი კვალიფიკაციებისთვის. პროგრამებში ინტეგრირებულია საგანმანათლებლო, პრაქტიკული და კვლევითი ასპექტები, რაც უზრუნველყოფს უმაღლესი განათლებისუფრო მაღალ საფეხურზე გადასვლის შესაძლებლობას. პროგრამების სტრუქტურა და შინაარსი თანმიმდევრულია, შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, როგორც ეს ნაჩვენებია თვითშეფასების ანგარიშის N1 დანართში. პროგრამებში კონსტრუქციული შესაბამისობის უზრუნველყოფის მიზნით გამოიყენება სწავლებისა და სწავლის სხვადასხვა, თანამედროვე მეთოდები. სტუდენტები იძენენ საჭირო ცოდნას, უნარებსა და კომპეტენციებს, რაც მათ წარმატებული პროფესიული კარიერისთვის ამზადებს.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამების სტრუქტურისა და შინაარსის განვითარება და განახლება წარმატებით განხორციელდა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ ინტერვიუებში კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა აღნიშნეს, რომ მნიშვნელოვანია მეტი ყურადღება დაეთმოს: კვლევის მეთოდოლოგიას (განსაკუთრებით დოქტორანტურაში), მონაცემთა ანალიტიკას საჯარო სამსახურისთვის (საჯარო მმართველობის პროგრამებში), რბილ უნარებს და ასევე პროფესიულ სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების შესაძლებლობებს.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

GIPA-ს ადმინისტრაციამ 240 კრედიტიდან 180 კრედიტზე გადასვლით კარგი

გადაწყვეტილება მიიღო და ამგვარად იგი მიჰყვება დადებით გლობალურ პრაქტიკას, რაც ხელს უწყობს GIPA-ს ინტერნაციონალიზაციის სტრატეგიის განხორციელებას.

ჩვეულებისამებრ, პროგრამა შედგება სავალდებულო (ზოგადი და სპეციალობის კურსები) და არჩევითი კურსებისაგან. სპეციალობის სავალდებულო კურსები მიზნად ისახავს სტუდენტის ცოდნის განვითარებას ბიზნესის პოლიტიკისა და სტრატეგიის, მეწარმეობისა და ინოვაციების, ოპერაციების, ადამიანური რესურსების, ბიზნეს გარემოს, ბაზრებისა და ეკონომიკის, ფინანსების, კომუნიკაციების, მარკეტინგის, ეთიკის, პასუხისმგებლობისა და მდგრადი განვითარების ძირითად სფეროებში.

როგორც უკვე აღინიშნა, ადგილზე ვიზიტისას ჩატარებული გასაუბრებიდან ცხადი გახდა, რომ პროგრამის კურიკულუმის ზოგიერთ კურსში შეტანილია მეწარმეობის თემატიკასთან დაკავშირებული საკითხები, თუმცა ეს პირდაპირ არ ჩანს პროგრამის შინაარსში. შესაბამისად, სასურველია, ტრადიციული ბიზნეს თემატიკის ნაცვლად უფრო მეტი ყურადღება დაეთმოს თანამედროვე საკითხებს, განსაკუთრებით მეწარმეობისა და სტარტაპების მიმართულებით.

ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრებიდან ექსპერტთა ჯგუფმა მიიღო უკუკავშირი, რომ ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამის სტუდენტებს განსაკუთრებით მოსწონთ პროგრამაში გამოყენებული პრაქტიკული მიდგომები. თუმცა, მათი აზრით, კომპანიაში განხორციელებული უფრო ტრადიციული სტაჟირება პროგრამას დამატებით ღირებულებას შესძენდა. შესაბამისად, სასურველია განიხილოთ ამჟამად არსებული პრაქტიკული სამუშაოებისა და სტაჟირების კომბინირება. კურსდამთავრებულების აზრით, შესაძლოა სტაჟირება ხელახლად იქნეს შეთავაზებული როგორც არჩევითი კურსი. ასევე, დასაქმებულ სტუდენტებს ან საკუთარი ბიზნესის მქონე პირებს შესაძლოა მიეცეთ საშუალება, სტაჟირება გაიარონ საკუთარ სამუშაო ადგილზე და აჩვენონ, თუ როგორ იყენებენ პროგრამის ფარგლებში მიღებულ თეორიულ ცოდნას პრაქტიკაში. შესაძლოა სტაჟირება იყოს ბიზნეს ლაბორატორიების კურსის კომპონენტი.

შესაბამისი წინაპირობები მითითებულია.

არჩევითი საგნების მრავალფეროვნება კარგია.

პროგრამა სრულდება საბოლოო ნაშრომით - ბიზნეს პროექტით ან ბიზნეს გეგმით.

ასევე, სტუდენტები ძალიან კმაყოფილები არიან იმით, რომ პროგრამის მეათედი ინგლისურ ენაზე ისწავლება.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობა ორი წელია და შედგება 120 კრედიტისგან. ის ლოგიკურად და თანმიმდევრულად არის სტრუქტურირებული, რომელიც მოიცავს ხუთ ძირითად მოდულს:

მოდული I - ბიზნესი და მისი კომპონენტები

მოდული II - ფინანსური მოდული

III მოდული - ოპერაციების მოდული

IV მოდული - მარკეტინგის მოდული

V მოდული - ლიდერობა

ხუთი ძირითადი მოდულის და მათ კომპონენტების დეტალურად გათვალისწინებით, სასურველია გადაიხედოს მეწარმეობის ძირითადი მიმართულებები და მიზნები და მოხდეს მათი უფრო მკაფიოდ ინტეგრირება მოდულებსა და შინაარსში.

პროგრამა შეიცავს სავალდებულო მოდულებს და ასევე სთავაზობს სტუდენტებს როგორც არჩევით, ასევე თავისუფალ არჩევით ბლოკებს. ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებულ ინტერვიუებზე დაყრდნობით, ექსპერტთა ჯგუფი აცხადებს, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამისთვის მომგებიანი იქნება თუ სტუდენტებს უფრო მრავალფეროვან არჩევით კურსებს შესთავაზებს.

პროგრამაში ასევე შედის კვლევითი კომპონენტი, რომელიც შემაჯამებელი პროექტებისთვის მოიცავს ოთხ მოდულს და რომელიც მთავრდება სამაგისტრო ნაშრომით/პროექტით. სტუდენტებთან განხორციელებული შეხვედრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი აცხადებს, რომ მიუხედავად იმისა, რომ სტუდენტები კმაყოფილები არიან MBA-ის პრაქტიკული კომპონენტით, მათ მაინც მიაჩნიათ, რომ მეტი შინაარსი უნდა დაეთმოს კვლევითი კომპეტენციების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

"საჯარო მმართველობის" სამაგისტრო პროგრამის ხანგრძლივობაა 120 კრედიტი, აქედან 95 კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 25 კრედიტი კვლევითი კომპონენტს. სასწავლო კომპონენტი მოიცავს როგორც სავალდებულო, ასევე არჩევით საგნებს, რომელიც უზრუნველყოფს საჯარო მმართველობის სფეროში შესაბამისი ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების განვითარებას. კვლევითი კომპონენტის განხორციელება ძირითადად ხდება სამაგისტრო ნაშრომის შესრულებისა და დაცვის გზით. სამაგისტრო ნაშრომი წარმოადგენს სტუდენტის პროგრესის განმსაზღვრელ შეფასებას.

როგორც ზემოთ აღინიშნა, კურსდამთავრებულები და დამსაქმებლები აღნიშნავენ, რომ "საჯარო მმართველობის" პროგრამისთვის მომგებიანი იქნება დაემატოს კურსი: მონაცემთა ანალიტიკა.

აღწერა და ანალიზი - ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

"ადგილობრივი თვითმმართველობის" პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი, "საჯარო მმართველობის" პროგრამის მსგავსად, 120 კრედიტიანია, საიდანაც 95

კრედიტი ეთმობა სასწავლო კომპონენტს და 25 კრედიტი კვლევითი კომპონენტს. მიუხედავად იმისა, რომ ამ კონკრეტული პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი გონივრულად გამოიყურება, მისი ნახევარი ემთხვევა "საჯარო მმართველობის" პროგრამას. როგორც სტუდენტებმა და აკადემიურმა პერსონალმა აღნიშნეს, ზოგიერთი კურსი ერთად ისწავლება.

შესაბამისად, საჭიროა სტრატეგიული გადაწყვეტილების მიღება, რადგან ის უკავშირდება საჯარო მმართველობის სფეროში არსებული საგანმანათლებლო პროგრამების პორტფელით ეფექტურ მართვას.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა მოიცავს სასწავლო (60 ECTS) და კვლევით კომპონენტებს. სადოქტორო პროგრამის საგანმანათლებლო კომპონენტი ამზადებს დოქტორანტებს მომავალი პედაგოგიური და სამეცნიერო საქმიანობისთვის; პროგრამა ასევე ამზადებს მათ იმისათვის, რომ შექმნან სამეცნიერო ნაშრომები, განახორციელონ კვლევითი პროექტები და შეძლონ კვლევის შედეგების გამოყენება საჯარო საკითხების გადასაჭრელად. კვლევითი კომპონენტი ავითარებს სტუდენტების სამეცნიერო-კვლევით უნარებს, რომელიც სრულდება დისერტაციის წარდგენით. დისერტაციის დაცვის წინაპირობაა პროსპექტუსისა და კოლოქვიუმის დაცვა. გარდა ამისა, დოქტორანტებმა უნდა გამოაქვეყნონ ორი რეფერირებული პუბლიკაცია. სადისერტაციო ნაშრომის მომზადება ეფუძნება აუცილებელ ელემენტებს და წარმოადგენს დოქტორანტის მიერ ჩატარებული დამოუკიდებელი სამეცნიერო კვლევის კულმინაციას. დოქტორანტის დამოუკიდებელი კვლევითი საქმიანობა მიმართულია სამეცნიერო თვითგანვითარებაზე და ხორციელდება სამეცნიერო ხელმძღვანელის ზედამხედველობით. სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შეფასება ხორციელდება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანების "უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების კრედიტების გაანგარიშების წესის შესახებ" შესაბამისად.

შეხვედრების დროს, დოქტორანტებმა აღნიშნეს, რომ საჭიროა პროგრამაში მეტი აქცენტი გაკეთდეს კვლევის მეთოდოლოგიაზე.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;

- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები;
- სამაგისტრო პროგრამების კვლევითი კომპონენტის დაგეგმვის, განხორციელებისა და შეფასების წესი;
- სოციალურ მეცნიერებათა სკოლის სადისერტაციო საბჭოსა და დოქტორანტურის დებულება;
- საგანმანათლებლო პროცესის მარეგულირებელი წესი“;
- ხარისხის უზრუნველყოფის სახელმძღვანელო;
- საგანმანათლებლო პროგრამების შედეგების შეფასების მექანიზმები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის ზოგადი რჩევები:

- სასურველია, მეტი ყურადღება დაეთმოს რბილი უნარების, ასევე შესაბამის პროფესიულ სფეროში ხელოვნური ინტელექტის გამოყენების უნარის განვითარებას.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა:

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, მეწარმეობისა და სტარტაპების თემების უფრო ნათლად წარმოჩენა, ძალიან ტრადიციული ბიზნეს თემებიდან უფრო თანამედროვე თემებზე გადასვლის გზით.
- სასურველია, განხილულ იქნას ამჟამად შემოთავაზებული პრაქტიკული სამუშაოსა და სტაჟირების კომბინირება. შესაძლოა სტაჟირება ხელახლა იქნას შემოღებული, როგორც არჩევითი კურსი. სტუდენტებს, რომლებიც მუშაობენ ან აქვთ საკუთარი ბიზნესი, შესაძლოა შესთავაზონ შესაბამისი პირობები, რათა სტაჟირება გაიარონ სამუშაო ადგილზე და აჩვენონ, როგორ გამოიყენეს ნასწავლი თეორია პრაქტიკაში. შესაძლოა სტაჟირება იყოს ბიზნეს ლაბორატორიების კურსის კომპონენტი.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, მეწარმეობის ასპექტების უფრო მკაფიოდ ინტეგრირება მოდულებში და შინაარსში.
- სასურველია, გაიზარდოს არჩევითი საგნების მრავალფეროვნება.

- სასურველია, შინაარსობრივად მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს კვლევითი კომპეტენციების განვითარებას.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაციები: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, მონაცემთა ანალიზის კურსის შეთავაზება.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცია(ები): არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია პროგრამაში კვლევის მეთოდოლოგიის კომპონენტის გაძლიერება.

შეფასება

კომპონენტი საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი	1.4 შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ა მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა (BBA)	X	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა (MBA)	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
ადგილობრივი თვითმმართველობა სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

1.5 სასწავლო კურსი/საგანი

- სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა უზრუნველყოფს ამ კურსით/საგნით

განსაზღვრული სწავლის შედეგების მიღწევას.

- ძირითადი სფეროს სასწავლო კურსის/საგნის შინაარსი და სწავლის შედეგები უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
- სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

თვითშეფასების ანგარიშის თანახმად, კლასტერში დაჯგუფებული არსებული საგანმანათლებლო პროგრამების მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია კურსების მიზნებთან და სწავლის შედეგებთან. უფრო მეტიც, კურსის სწავლის შედეგები მიიღწევა შესაბამისი სწავლების მეთოდებისა და შეფასების მეთოდების გამოყენებით. ამასთან, საგანმანათლებლო პროგრამების მსგავსად, კურსებიც მიჰყვება ბლუმის ტაქსონომიას. ასევე, კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია შესაბამისი საფეხურის კვალიფიკაციათა აღმწერთან, რომელიც ეფუძნება ეროვნულ საკვალიფიკაციო ჩარჩოს და დარგობრივ მახასიათებლებს. კრედიტების განაწილება ეფუძნება სისტემურ და კომპლექსურ მიდგომას, რომელიც ითვალისწინებს კურსის მიზნებს, შინაარსის მოცულობას, სწავლის შედეგების მისაღწევად საჭირო დროს და სხვა მსგავს კომპონენტებს. სილაბუსებში უზრუნველყოფილია მიზნების, სწავლის შედეგების, სწავლება-სწავლისა და შეფასების მეთოდების ურთიერთშესაბამისობა. შეფასების მეთოდები განახლებული და თანამედროვეა. თვითშეფასების ანგარიშში აღნიშნულია, რომ სავალდებულო ლიტერატურა და სასწავლო მასალები შეესაბამება კურსის დონეს და სწავლის შედეგებს. აღნიშნულია, რომ ლიტერატურა არის უახლესი და მოიცავს საუკეთესო ხელმისაწვდომ გამოცემებს. თუმცა, სილაბუსების განხილვისა და ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, ექსპერტთა ჯგუფი ასკვნის, რომ სილაბუსები უნდა გადაიხედოს და განახლდეს არა მხოლოდ ინგლისურენოვანი ლიტერატურა, არამედ ქართულენოვანი ლიტერატურასაც, რათა შესაბამისობაში იყოს საგანმანათლებლო პროგრამების სწავლების ენასთან.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამის "ბიზნესის ადმინისტრირება" სტუდენტებს სწავლის შედეგების მისაღწევად მიეწოდებათ 34 სავალდებულო კურსი. კურსები მოიცავს ბიზნესთან დაკავშირებულ ძალიან ტრადიციულ თემებს. როგორც უკვე ზემოთ აღინიშნა, სასურველია საგანმანათლებლო პროგრამაში მეტი ყურადღება დაეთმოს მეწარმეობის საკითხებს. საგანმანათლებლო პროგრამაში ასევე შედის სხვადასხვა შესაბამისი არჩევითი კურსები. გარდა ამისა, პროგრამა ასევე სთავაზობს სტუდენტებს ინგლისური ან ფრანგული ენების შესწავლას.

როგორც აღნიშნულია დასკვნის 1.4 ნაწილში, მიუხედავად იმისა, რომ ბიზნესის ადმინისტრირების სასწავლო პროგრამა პრაქტიკულ ელემენტებს აერთიანებს

ლაბორატორიულ და სატრენინგო კურსებში, სტუდენტებმა და კურსდამთავრებულებმა გამოთქვეს დამოუკიდებელი პრაქტიკული კომპონენტის საჭიროება - არა არსებული პრაქტიკული მიდგომის ჩასანაცვლებლად, არამედ იმისთვის, რომ ადმინისტრაციამ მოძებნოს ორივეს ინტეგრირების შესაძლებლობა.

გარდა ამისა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, შეიძლება ითქვას, რომ ბიზნეს ლაბორატორიების სილაბუსებში უკეთ უნდა აისახოს პრაქტიკული ასპექტი და კომპანიებთან თანამშრომლობა, ასევე სამეწარმეო აზროვნებისა და უნარების განვითარება.

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია განმარტებული, პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებულებს შეეძლებათ მუშაობა როგორც კერძო, ისე საჯარო სექტორში მენეჯმენტის, ფინანსების, ბიზნეს ანალიზის, პროექტების მართვისა და მარკეტინგის მიმართულებით.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამა მოიცავს 14 სავალდებულო სასწავლო კურსს და 5 კვლევით კომპონენტს. სწორედ ამ უკანასკნელის დასრულება უზრუნველყოფს სწავლის შედეგების მიღწევას. თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ პროგრამამ შესაბამისი კურსების მეშვეობით უფრო მეტად უნდა გააძლიეროს კვლევითი კომპონენტი. სასწავლო პროგრამა მოიცავს დარგთან დაკავშირებულ საკმაოდ ტრადიციულ თემებს: მათ შორის ფინანსები, მარკეტინგი, მენეჯმენტი, პროფესიული და კვლევითი უნარები, მაკროფინანსები, მიკროფინანსები, პროექტების მართვა, ოპერაციების მართვა, ბაზრის ანალიზი, ინტეგრირებული მარკეტინგული კომუნიკაცია და სტრატეგიული ლიდერობა.

როგორც ამ დასკვნის წინა 1.1-1.4 ნაწილებში აღინიშნა, ვინაიდან მეწარმეობა წარმოადგენს GIPA-ს ერთ-ერთ ძირითად მიმართულებას, სამაგისტრო პროგრამაში/კურსებში უფრო მეტი ყურადღება უნდა დაეთმოს მეწარმეობის საკითხებს.

სტუდენტებისათვის ასევე ხელმისაწვდომია არჩევითი და თავისუფალი კომპონენტები. თუმცა, როგორც უკვე აღინიშნა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე დადგინდა, რომ სამაგისტრო პროგრამამ უნდა შესთავაზოს არჩევითი კურსების უფრო ფართო არჩევანი.

კურსის მიზნები და სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის მიზნებთან და სწავლის შედეგებთან, რომელიც ეფუძნება შესაბამის დარგობრივ მახასიათებელსა და საგანმანათლებლო საფეხურს.

სამაგისტრო პროგრამა ამზადებს კურსდამთავრებულებს ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში სხვადასხვა პოზიციისთვის: მეწარმე-მენეჯერი, ფინანსისტი, ოპერაციული მენეჯერი, მარკეტერი, პროექტის მენეჯერი, მკვლევარი, ეთიკური ლიდერი.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს 17 სავალდებულო სასწავლო კურსს და აუცილებელ კვლევით კომპონენტს, რომელიც ხორციელდება სამაგისტრო ნაშრომის მეშვეობით. ამ კურსების დასრულება ნიშნავს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. როგორც თვითშეფასების ანგარიშის 26-ე გვერდზეა აღნიშნული, პროგრამა სთავაზობს ისეთ აუცილებელ თემებს, როგორიცაა: საჯარო მმართველობა და ორგანიზაციული თეორია, სხვადასხვა სექტორის მართვა, ლიდერობა, ეთიკა, ანგარიშვალდებულება და კეთილსინდისიერება საჯარო მმართველობაში, საჯარო მმართველობის რეფორმის პრინციპები და შედარებითი საჯარო მმართველობა, პროექტების მართვა, საჯარო სამსახურის მართვა და სტრატეგიული მენეჯმენტი და ა.შ. სტუდენტებს ასევე აქვთ დარგობრივი არჩევითი კურსების არჩევის შესაძლებლობა. საგანმანათლებლო პროგრამისა და აღნიშნული კურსების მიზნები და სწავლის შედეგები ერთმანეთთან შესაბამისობაშია.

თუმცა, ადგილზე ვიზიტის დროს ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე, კურსდამთავრებულებმა და დამსაქმებლებმა აღნიშნეს, პროგრამას დამატებით ღირებულებას შესძენდა საჯარო სამსახურისთვის საჭირო მონაცემთა ანალიზის უნარების განმავითარებელი სასწავლო კურსი.

თვითშეფასების ანგარიშში განმარტებულია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს საჯარო სექტორში (როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ სამთავრობო უწყებებში), ასევე საჯარო სექტორის განვითარებაზე ორიენტირებულ ადგილობრივ და საერთაშორისო ორგანიზაციებში, ანალიტიკოსის ან მენეჯერის პოზიციაზე.

აღწერა და ანალიზი - ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

როგორც თვითშეფასების ანგარიშშია განმარტებული, ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა მოიცავს დარგთან დაკავშირებულ ფართო ასპექტებს და ამავდროულად ითვალისწინებს ადგილობრივი საჯარო მმართველობის დარგობრივ მახასიათებლებს. საგანმანათლებლო პროგრამის ზოგიერთ კურსის მიზნები და სწავლის შედეგები განსაკუთრებულ აქცენტს აკეთებს საჯარო მმართველობის სფეროში ადგილობრივი თვითმმართველობის საკითხებზე. ეს მოიცავს ისეთ სავალდებულო კურსებს, როგორიცაა: 'საჯარო მმართველობისა და მენეჯმენტის პრინციპების ორგანიზება მუნიციპალურ დონეზე', 'მუნიციპალიტეტების სტრატეგიული და ეკონომიკური განვითარება - მატერიალური და ფინანსური რესურსების მართვა', 'შედარებითი საჯარო მმართველობა და ადგილობრივი თვითმმართველობის საერთაშორისო პრაქტიკა', ან ისეთ არჩევით კურსებს, როგორიცაა 'პროექტებისა და მუნიციპალური საჯარო სამსახურის მართვა' და სხვა.

აღნიშნული კურსების მეშვეობით სასწავლო პროგრამაში განსაკუთრებული აქცენტი კეთდება ადგილობრივ მმართველობაზე.

პროგრამის კურსდამთავრებულს შეუძლია დასაქმდეს უშუალოდ საჯარო სექტორში

(სახელმწიფო სტრუქტურებში, როგორც ადგილობრივ, ისე ცენტრალურ სამთავრობო უწყებებში).

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა

სადოქტორო პროგრამა შედგება შესაბამისი სავალდებულო კურსებისგან, რომლებიც ძირითადად მიმართულია კვლევითი უნარების განვითარებაზე. სასწავლო კურსი 'საჯარო პოლიტიკისა და მმართველობის წამყვანი თეორიული და კვლევითი ასპექტები' სტუდენტებს აცნობს საჯარო მმართველობის სფეროს თეორიულ-კონცეპტუალურ განვითარებაში გამოყენებულ თეორიებსა და კვლევებს, ასევე ხელს უწყობს საჯარო მმართველობის ინტერდისციპლინური კვლევის საკითხების სიღრმისეულ შესწავლას. სადოქტორო პროგრამის სტუდენტებმა ასევე უნდა დაწერონ სადოქტორო სემინარი და დაიცვან შესაბამისი სამეცნიერო პროექტი, რომელიც განსხვავებული იქნება დისერტაციის თემისგან. გარდა ამისა, დოქტორანტები ახორციელებენ პროფესორის ასისტენტის ფუნქციას საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურის სტუდენტების სწავლებისას.

სტუდენტების მომზადებას პოსტსადოქტორო დამოუკიდებელი საქმიანობისთვის უზრუნველყოფს სავალდებულო კურსი/ლექციების სერია "მეცნიერების მართვა და ფონდების მოზიდვა" ეს კურსი ასევე გულისხმობს განაცხადის წარდგენას რუსთაველის ფონდში.

არჩევითი კომპონენტის ფარგლებში სტუდენტებს საშუალება აქვთ აირჩიონ GIPA-ს მიერ შეთავაზებული სასწავლო კურსი ან ისწავლონ უცხოეთის უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში.

საგანმანათლებლო პროგრამა საფუძვლიანად ამზადებს სტუდენტებს სადისერტაციო ნაშრომის წარმატებით დასრულებისთვის. ეს ხორციელდება კვლევითი კომპონენტის საშუალებით, რომელიც მიმართულია დოქტორანტების სამეცნიერო-კვლევითი უნარების განვითარებაზე. სადისერტაციო ნაშრომის დაცვამდე სტუდენტებმა საწყის ეტაპზე უნდა დაიცვან პროსპექტუსი, რასაც მოსდევს კოლოქვიუმი. პროსპექტუსი არის დისერტაციის სიღრმისეული, დასაბუთებული წინასწარი მონახაზი. კოლოქვიუმი კი წარმოადგენს სადისერტაციო კვლევის ერთ-ერთი თავის დასაბუთებას.

თუმცა, მიუხედავად იმისა, რომ თვითშეფასების ანგარიშში ასახულია კვლევითი კომპონენტის განხორციელებასთან დაკავშირებული საკითხები, ადგილზე ვიზიტის დროს დოქტორანტებთან შეხვედრისას აღინიშნა, რომ კონკრეტულად კვლევის მეთოდოლოგიის ნაწილს მეტი ყურადღება და სიღრმე სჭირდება.

პროგრამის მიზანია, რომ პროგრამის კურსდამთავრებულები დასაქმდნენ მკვლევრებად/ანალიტიკოსებად კვლევით ინსტიტუტებში, კერძო ორგანიზაციებსა და სხვა დაწესებულებებში, ასევე აკადემიურ პოზიციებზე უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა და სილაბუსები;
- ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა და სილაბუსები;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა და სილაბუსები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები:

- სასურველია, გადაიხედოს სილაბუსები და განახლდეს იმგვარად, რომ ინგლისურენოვან ლიტერატურასთან ერთად მოიცავდეს ქართულენოვან ლიტერატურასაც, რაც შესაბამისობაში იქნება პროგრამების სწავლების ენასთან.

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით:

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

რეკომენდაცია(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია, ბიზნეს ლაბორატორიების სილაბუსებში უკეთ აისახოს პრაქტიკული ასპექტი და კომპანიებთან თანამშრომლობა, ასევე სამეწარმეო აზროვნებისა და უნარების განვითარება.

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო

პროგრამა რეკომენდაცია(ებ)ი: არ არის

მითითებული

რჩევები:

- სასურველია ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამის კურსების გადახედვა შემდეგი მიმართულებებით: კვლევითი კომპონენტის გაძლიერება, სამეწარმეო კომპონენტის უფრო მკაფიოდ წარმოჩენა და არჩევითი საგნების მრავალფეროვნების გაზრდა.

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

რეკომენდაცია(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია პროგრამას დაემატოს კურსი, რომელიც მაგისტრანტებს საჯარო სამსახურში მონაცემთა ანალიტიკის უნარებს განუვითარებს.

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა

რეკომენდაცია(ებ)ი: არ არის მითითებული

რჩევები:

- სასურველია პროგრამაში კვლევის მეთოდოლოგიის კომპონენტის გაძლიერება.

შეფასება

კომპონენტი 1.5 სასწავლო კურსი/საგანი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა (BBA)	X	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა (MBA)	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
ადგილობრივი თვითმმართველობა სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

პროგრამების სტანდარტთან შესაბამისობა

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზნები, სწავლის შედეგები და მათი შესაბამისობა პროგრამასთან	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება, საბაკალავრო პროგრამა	X	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
ადგილობრივი თვითმმართველობა, სამაგისტრო პროგრამა	X	☐	☐	☐
საჯარო მმართველობა, სადოქტორო პროგრამა	X	☐	☐	☐

2.სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება ითვალისწინებს პროგრამის სწავლის სფეროს თავისებურებებს, საფეხურის მოთხოვნებს, სტუდენტთა საჭიროებებს და უზრუნველყოფს პროგრამით დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები

უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები, რომელიც უზრუნველყოფს შესაბამისი ცოდნისა და უნარების მქონე პირთა პროგრამაში ჩართვას პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევისათვის.

კლასტერული და ინდივიდუალური შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებულ პროგრამებზე დაშვების პროცესი და პროცედურები გულდასმით არის სტრუქტურირებული ეროვნული კანონმდებლობისა და უნივერსიტეტის რეგულაციების შესაბამისად. საბაკალავრო და სამაგისტრო საფეხურებზე მიღების კრიტერიუმები შემუშავებულია ბიზნესსწავლების სპეციფიკური მახასიათებლების გათვალისწინებით. ეს უზრუნველყოფს იმ აპლიკანტების შერჩევას, რომლებსაც გააჩნიათ შესაბამისი უნარები და ავლენენ პროგრამაში წარმატების მისაღწევად საჭირო კომპეტენციებს. საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამებისთვის უნივერსიტეტი აწესებს ჩარიცხვის სპეციფიკურ წინაპირობებს. აპლიკანტებს უნდა ჰქონდეთ ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი ისეთ სფეროებში, როგორიცაა საჯარო მმართველობა, სოციალური და ქცევითი მეცნიერებები, განათლება, ბიზნესის ადმინისტრირება, მენეჯმენტი ან სამართალი. ეს პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებიც ცდილობენ გაიღრმავონ ცოდნა საჯარო მმართველობაში. საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქცევით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში.

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტს შემუშავებული აქვს დოკუმენტი, რომელიც არეგულირებს საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, განვითარების, მართვისა და გაუქმების პროცესს. ამ დოკუმენტში აღწერილია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვისა და განვითარების ეტაპები, დეტალურადაა განსაზღვრული კონკრეტული საფეხურები და დადგენილია მიღების წინაპირობების კრიტერიუმები.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამაზე მიღების პროცედურა შეესაბამება მოქმედ კანონმდებლობას და უნივერსიტეტის რეგულაციებს. საბაკალავრო პროგრამაზე მიღების უფლება აქვთ კანდიდატებს, რომლებმაც დაასრულეს ზოგადი განათლება და წარმატებით ჩააბარეს ერთიანი ეროვნული გამოცდები. პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა

უნდა ჩააბაროს ერთიანი ეროვნული გამოცდები შემდეგ საგნებში: ქართული ენა და ლიტერატურა, ინგლისური ენა და ერთი არჩევითი საგანი - მათემატიკა ან ისტორია. საბაკალავრო პროგრამაზე ჩარიცხვა ერთიანი ეროვნული გამოცდების გარეშე ხორციელდება მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად. გარდა ამისა, ბიზნესის ადმინისტრირების პროგრამაზე ჩარიცხვა შესაძლებელია მობილობის წესითაც. უნივერსიტეტს შემუშავებული აქვს სტუდენტთა მიღების დაგეგმვის მეთოდოლოგია და პროგრამაზე მიღება ხორციელდება ამ დოკუმენტში გაწერილი წესების შესაბამისად. პროგრამაზე მიღების წინაპირობები საჯაროდ ხელმისაწვდომია უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა განკუთვნილია იმ პირებისთვის, რომლებსაც სურთ გაიღრმავონ ცოდნა ბიზნესის ადმინისტრირების სფეროში. პროგრამას აქვს ჩარიცხვის სპეციფიკური წინაპირობები, მათ შორის: 1. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი; 2. საერთო სამაგისტრო გამოცდის წარმატებით ჩაბარება; 3. შიდა პროცედურის გავლა, რომელიც მოიცავს შემდეგ ეტაპებს: ინგლისური ენის ცოდნის მოთხოვნის დასაკმაყოფილებლად, აპლიკანტებმა უნდა ჩააბარონ პროგრამის მიერ ჩატარებული ინგლისური ენის გამოცდა B2 დონეზე ან წარმოადგინონ მოქმედი სერტიფიკატი, როგორიცაა TOEFL, IELTS, FCE, BEC Vantage, ან PTE, რომელიც ადასტურებს საჭირო კვალიფიკაციას. სპეციალობაში ზეპირი გამოცდის ან გასაუბრების გავლა მიზნად ისახავს აპლიკანტის მიერ საგნის ცოდნის შეფასებას. გამოცდებისთვის მომზადების გასამარტივებლად, ინგლისური ენისა და სპეციალობის საგამოცდო საკითხების ნიმუშები წინასწარ იქნება ხელმისაწვდომი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების ვებგვერდზე.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

სამაგისტრო პროგრამაზე ჩარიცხვის წინაპირობები დეტალურად არის გაწერილი შემდეგნაირად: ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აღნიშნულ სფეროში, საერთო სამაგისტრო გამოცდების ზღვარის გადალახვა, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე; მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რაც უნდა დადასტურდეს უნივერსიტეტის შიდა გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 ქულა; I/BT 87 ქულა); IELTS (5.5 ქულა); FCE; PTE (general level 3); Michigan ECCE. დამატებით, მიმღებ კომისიასთან გასაუბრება ამოწმებს აპლიკანტის ცოდნას საჯარო მმართველობის სფეროში და ადგენს აპლიკანტის უნარების შესაბამისობას სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

ადგილობრივი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამის წინაპირობები შეესაბამება საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამაში გაწერილ სახელმძღვანელო პრინციპებს. ბაკალავრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხი აღნიშნულ სფეროში, საერთო სამაგისტრო გამოცდების ზღვარის გადალახვა, ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე; მაგისტრანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის ცოდნა B2 დონეზე, რაც უნდა

დადასტურდეს უნივერსიტეტის შიდა გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი საერთაშორისო სერტიფიკატით (TOEFL (P/B 513 ქულა; I/BT 87 ქულა); IELTS (5.5 ქულა); FCE; PTE (general level 3); Michigan ECCE. დამატებით, მიმღებ კომისიასთან გასაუბრება ამოწმებს აპლიკანტის ცოდნას საჯარო მმართველობის სფეროში და ადგენს აპლიკანტის უნარების შესაბამისობას სამაგისტრო პროგრამის მოთხოვნებთან.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა

საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამაზე სწავლის უფლება აქვს მაგისტრის ან მასთან გათანაბრებული აკადემიური ხარისხის მქონე პირს, რომელსაც მიღებული აქვს მაგისტრის ხარისხი საჯარო მმართველობაში, სოციალურ და ქვეყნით მეცნიერებებში, განათლებაში, ბიზნესის ადმინისტრირებაში, მენეჯმენტში ან სამართალში. პროგრამაზე ჩარიცხვა ხორციელდება ინგლისური ენის ტესტისა და საგნობრივი/ მიმღები კომისიის მიერ ჩატარებული გასაუბრების საფუძველზე. დოქტორანტობის კანდიდატს მოეთხოვება ინგლისური ენის B2 დონეზე ფლობა, რაც უნდა დადასტურდეს უნივერსიტეტის შიდა გამოცდით ან ინგლისური ენის ცოდნის დამადასტურებელი შესაბამისი საერთაშორისო სერტიფიკატით. დოქტორანტობის კანდიდატი შეიძლება გათავისუფლდეს ინგლისური ენის ტესტის ჩაბარების მოთხოვნისგან, თუ მას დასრულებული აქვს საბაკალავრო ან სამაგისტრო პროგრამა ინგლისურ ენაზე, როგორც საქართველოში, ისე საერთაშორისო დონეზე. აუცილებელ დოკუმენტებთან ერთად, დოქტორანტობის კანდიდატმა უნდა წარმოადგინოს მინიმუმ 1000 სიტყვიანი კვლევითი პროექტი საჯარო მმართველობის დარგში. გასაუბრების დროს ფასდება რამდენიმე ძირითადი ფაქტორი: კანდიდატის მოტივაცია, შესაბამის სფეროში ცოდნის დონე, შემოთავაზებული კვლევითი პროექტის ორიგინალურობა და თანმიმდევრულობა, პროფესიული გამოცდილების შესაბამისობა სადოქტორო პროგრამის მიზნებთან და სამეცნიერო სტატიების გამოქვეყნების გამოცდილება.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა);
- ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა);
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- ადგილობრივი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა;
- ააიპ GIPA- საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის სტუდენტთა კონტინგენტის დაგეგმვის მეთოდოლოგია;
- საგანმანათლებლო პროგრამების შემუშავების, დამტკიცების, ცვლილებებისა და გაუქმების წესები და პროცედურები;
- ვებგვერდი <https://gipa.ge/geo>.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან ნ	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან ნ	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან ნ	არ არის შესაბამისობაში ო მოთხოვნებთან ნ
ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება,	x	☐	☐	☐
სამაგისტრო პროგრამა				
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐
ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა	x	☐	☐	☐

2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო /კვლევითი /შემოქმედებითი /საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება

პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო / კვლევითი / შემოქმედებითი / საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო დონეზე შეთავაზებული პროგრამების სტრუქტურა ხელს უწყობს სტუდენტების პრაქტიკული უნარ- ჩვევების განვითარებას და სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში ჩართულობას. პროგრამებში გაერთიანებული შესაბამისი კურსები და აკადემიური აქტივობები მნიშვნელოვანია საბაკალავრო, სამაგისტრო და სადოქტორო პროგრამების სტუდენტების უნარების გასაუმჯობესებლად. გარდა ამისა, პრაქტიკული კომპონენტების სტრუქტურა მორგებულია თითოეული პროგრამის სწავლის შედეგებზე. გასაუმჯობესების საშუალებით დადასტურდა, რომ

პრაქტიკული ელემენტები და სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები ხორციელდება და იმართება შესაბამისი დარგის კვალიფიციური პერსონალის მიერ.

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა

საქართველოს საზოგადოებრივ საქმეთა ინსტიტუტის ბიზნესის ადმინისტრირების საბაკალავრო პროგრამა ავითარებს სტუდენტთა პრაქტიკულ და ტრანსფერულ უნარებს. სასწავლო პროგრამა აერთიანებს შესაბამის სასწავლო კურსებსა და აკადემიურ აქტივობებს, რომლებიც ბაკალავრიატის სტუდენტებში აუცილებელ უნარებს ავითარებს. პრაქტიკული კომპონენტები მორგებულია კონკრეტულ სწავლის შედეგებზე. სასწავლო პროგრამა აერთიანებს პრაქტიკულ აქტივობებს ბიზნეს ლაბორატორიის კურსის ფარგლებში, რომელიც გრძელდება ხუთი სემესტრის განმავლობაში და მოითხოვს სტუდენტების ჩართულობას პრაქტიკული დავალებების შესრულებაში. სავალდებულო კურსების უმრავლესობა მოიცავს პრეზენტაციის კომპონენტებს, პრაქტიკულ შემთხვევებზე სწავლებას, პროექტზე დაფუძნებულ ჯგუფურ აქტივობებს და ა.შ. ეს ამკარად ხელს უწყობს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას როგორც თეორიული, ისე პრაქტიკული პერსპექტივიდან. გასაუბრებებმა დაადასტურა, რომ ეს კომპონენტები, ისევე როგორც სამეცნიერო-კვლევითი აქტივობები, იმართება დარგის კვალიფიციური პროფესიონალების მიერ. სტუდენტები სამეცნიერო კვლევის უნარებს ისეთი კურსების საშუალებით ავითარებენ, როგორიცაა რაოდენობრივი ანალიზი, მონაცემთა ანალიზი და ბიზნესის მოდელირება, და ბოლოს ასრულებენ ბიზნეს პროექტით/ ბიზნეს გეგმით (10 ECTS).

აღწერა და ანალიზი - ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა

სტუდენტთა პრაქტიკული უნარების განვითარების მიზნით, ბიზნესის ადმინისტრირების სამაგისტრო პროგრამა იყენებს მრავალფეროვან აქტივობებს. ეს აქტივობები მოიცავს პრეზენტაციებს, პროექტზე დაფუძნებულ სწავლებას, შემთხვევების ანალიზის სავარჯიშოებს, პრობლემაზე დაფუძნებულ სწავლებას, კეთებით სწავლებას და ა.შ. სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული მოდული მოიცავს შემაჯამებელ პროექტს, რომელიც ემსახურება ჩართული სტუდენტების პრაქტიკული უნარების განვითარებას. პროგრამები სრულდება სავალდებულო 30 კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომით/პროექტით, რომლის მიზანია კვლევითი კომპეტენციების გაუმჯობესება და შეძენილი ცოდნის სტრუქტურირება. ზოგადად, პროგრამებში ჩართული საგანმანათლებლო აქტივობები ეფექტურად უწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა

საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა შექმნილია სტუდენტებში პრაქტიკული, ტრანსფერული და კვლევითი უნარების განსავითარებლად, ამასთანავე აწვდის მათ დარგის შესახებ ფართო ცოდნას. მონაწილეები შეიძენენ პოლიტიკის დოკუმენტების მომზადების უნარს როგორც სტრატეგიულ, ისე ოპერაციულ დონეზე. სასწავლო პროგრამა მოიცავს რეგულირების ზეგავლენის შეფასების ანგარიშების შემუშავებას, ასევე პოლიტიკის დაგეგმვას, კოორდინაციას და შესრულების მართვას საჯარო სექტორში. პროგრამები სრულდება სავალდებულო 25- კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომით/ პროექტით, რომელიც მიზნად ისახავს კვლევითი კომპეტენციების გაუმჯობესებას და შეძენილი ცოდნის

სტრუქტურირებას. ზოგადად, პროგრამებში ჩართული საგანმანათლებლო აქტივობები ეფექტურად უწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას.

აღწერა და ანალიზი - ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა

ადგილობრივი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა სძენს სტუდენტებს ყოვლისმომცველ უნარებს როგორც თვისებრივ, ისე რაოდენობრივ კვლევით მეთოდოლოგიებში, შერეული მეთოდების მიდგომების ჩათვლით. სასწავლო პროგრამაში ინტეგრირებული კვლევითი და ანალიტიკური აქტივობების საშუალებით, სტუდენტები სწავლობენ და იკვლევენ ადგილობრივ დონეზე არსებულ აქტუალურ საკითხებს. პროგრამები სრულდება სავალდებულო 25- კრედიტიანი სამაგისტრო ნაშრომით/პროექტით, რომელიც მიზნად ისახავს კვლევითი კომპეტენციების გაუმჯობესებას და შეძენილი ცოდნის სტრუქტურირებას.

აღწერა და ანალიზი - საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა

სადოქტორო პროგრამის მთავარი მიზანია დოქტორანტების პრაქტიკული უნარების, სამეცნიერო- კვლევითი შესაძლებლობების და ცოდნის გადაცემის კომპეტენციების განვითარება. ეს პროგრამა ხელს უწყობს ამ აუცილებელი უნარების განვითარებას სხვადასხვა მიდგომის საშუალებით: კვლევაზე ორიენტირებული სალექციო კურსები, სადოქტორო სემინარები, დარგობრივი კურსი, პროფესორის ასისტენტობა და ა.შ. ზოგადად, პროგრამებში ჩართული საგანმანათლებლო აქტივობები ეფექტურად უწყობს ხელს სტუდენტების პრაქტიკული, კვლევითი და ანალიტიკური კომპეტენციების, ასევე ტრანსფერული უნარების განვითარებას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა);
- ბიზნესის ადმინისტრირება (სამაგისტრო პროგრამა);
- საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- ადგილობრივი საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა;
- საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა;
- კურსების სილაბუსები;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.2. პრაქტიკული, სამეცნიერო/ კვლევითი / შემოქმედებითი/ საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება	შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობა შია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობა შია მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება (საბაკალავრო პროგრამა)	x	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება,	x	☐	☐	☐
მაგისტრატურა				
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐

ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა	x	☐	☐	☐

2.3 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის/საგნის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

კლასტერში დაჯგუფებული პროგრამები როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე იყენებს პროგრამის პროფილის შესაბამის მეთოდებს: ვერბალური მეთოდი, დემონსტრირების მეთოდი, პრეზენტაცია, პრაქტიკული მუშაობა, ჯგუფური მუშაობა, პროექტზე დაფუძნებული სწავლება, პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება, კეთებით სწავლება, შემთხვევის შესწავლა, სიმულაციური სწავლება, ლაბორატორიული მუშაობა, დისკუსიები/ დებატები. შერჩეული სწავლების მეთოდები კარგად შეესაბამება კონკრეტულ კურსებს და უზრუნველყოფს სტუდენტების აქტიურ ჩართულობას სასწავლო პროცესში. როგორც საბაკალავრო, ისე სამაგისტრო დონეზე, ყველა სავალდებულო და არჩევითი კურსი მკაფიოდ არის განსაზღვრული, მათში გაწერილია ის მეთოდები და აქტივობები, რომლებშიც სტუდენტებმა ყოველკვირეულად უნდა მიიღონ მონაწილეობა. საგანმანათლებლო პროგრამებში მთავარი აქცენტი კეთდება თეორიული და პრაქტიკული უნარების განვითარებაზე, ასევე კვლევაზე დაფუძნებული აქტივობების ინტეგრაციაზე კონკრეტულ კურსებში. მთელი სასწავლო პროცესი კონტროლდება კონკრეტული დავალებების, ჯგუფური მუშაობის, პრაქტიკული კომპონენტების და ა.შ. საშუალებით და დეტალურად არის აღწერილი სილაბუსებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები:

- თვითშეფასების ანგარიში;
- პროგრამის აღწერილობები;
- კურსების სილაბუსები;
- პროგრამების ხელმძღვანელებთან გასაუბრებების შედეგები.

კლასტერის საერთო რეკომენდაციები: არ არის მითითებული

კლასტერის საერთო რჩევები: არ არის მითითებული

რეკომენდაციები და რჩევები პროგრამების მიხედვით: არ არის მითითებული

შეფასება

კომპონენტი 2.3. სწავლება-სწავლის მეთოდები	შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაში ია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
ბიზნესის ადმინისტრირება საბაკალავრო პროგრამა	x	☐	☐	☐
ბიზნესის ადმინისტრირება სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐
საჯარო მმართველობის სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐
ადგილობრივი თვითმმართველობის სამაგისტრო პროგრამა	x	☐	☐	☐
საჯარო მმართველობის სადოქტორო პროგრამა	x	☐	☐	☐

2.4. სტუდენტების შეფასება

სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა, სანდო და კანონმდებლობასთან შესაბამისი.

კლასტერული შეფასება

კლასტერში დაჯგუფებული საგანმანათლებლო პროგრამების სტანდარტის კომპონენტის მოთხოვნებთან შესაბამისობის შეფასება და ანალიზი

უნივერსიტეტში არსებული სტუდენტთა შეფასების სისტემა შეესაბამება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებით დადგენილ მარეგულირებელ ჩარჩოს. სწავლის შედეგების მიღწევის კუთხით სტუდენტების პროგრესის გასაზომად ეს სისტემა იყენებს როგორც შუალედურ, ისე დასკვნით შეფასებებს. შეფასების მეთოდები და კრიტერიუმები გაწერილია კურსის სილაბუსებში, სადაც მკაფიო აქცენტი კეთდება ისეთ შეფასებაზე, რომელიც შეესაბამება თითოეული კურსის სპეციფიკას. სტუდენტები ფასდებიან 100-ქულიანი სისტემით, სადაც დადებითი შეფასებები დაყოფილია კატეგორიებად A- დან (საუკეთესო მოსწრება 91- დან 100 ქულამდე) E- მდე (საკმარისი მოსწრება 51- დან 60 ქულამდე). მეორე მხრივ, უარყოფითი შეფასებებია: FX, რაც შეადგენს 41- დან 50 ქულამდე და აძლევს სტუდენტებს შეფასებების ხელახლა ჩაბარების შესაძლებლობას, და F, რომელიც წარმოადგენს 40 ქულაზე ნაკლებ ქულას, ნიშნავს ჩაჭრას გამოცდის ხელახლა ჩაბარების შესაძლებლობის გარეშე.

მიუხედავად იმისა, რომ შეფასების სისტემას გააჩნია რამდენიმე ძლიერი მხარე, განსაკუთრებით შეფასების მეთოდების მრავალფეროვნებისა და უკუკავშირის გამჭვირვალობის თვალსაზრისით, გამოვლინდა გარკვეული პრობლემები შეფასების კრიტერიუმების სიცხადესთან და განხორციელებასთან დაკავშირებით. სისტემის უპირატესობაა შეფასების ინსტრუმენტების მრავალფეროვნება, მათ შორის გამოცდები, პრეზენტაციები და პრაქტიკული დავალებები, რომლებიც ერთიანად უზრუნველყოფს სტუდენტის მოსწრების დაბალანსებულ შეფასებას. ელექტრონული ჟურნალი არის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი უპირატესობა, რომელიც სტუდენტებს სთავაზობს მუდმივ წვდომას თავიანთ პროგრესსა და ნიშნებზე სემესტრის განმავლობაში. ეს ხელს უწყობს გამჭვირვალობას და სტუდენტების ინფორმირებულებას - მათ ყოველთვის იციან თავიანთი აკადემიური მდგომარეობის შესახებ.

თუმცა, კითხვები გამოიწვია ჯგუფური პროექტების განხორციელების შეფასების შეუსაბამობამ. ლექტორებთან და სტუდენტებთან გასაუბრებების დროს აღინიშნა, რომ ჯგუფური პროექტების შეფასება განსხვავდებოდა სხვადასხვა სესიაზე. ზოგ შემთხვევაში, სტუდენტებმა აღნიშნეს, რომ პრეზენტაციების დროს ყურადღება ექცეოდა ინდივიდუალურ მონაწილეობას, და ჯგუფის თითოეული წევრი იღებდა განსხვავებულ ნიშანს მათი კონკრეტული მონაწილეობის საფუძველზე. ეს მიდგომა ხელს უწყობს სამართლიანობას და ანგარიშვალდებულებას ჯგუფურ მუშაობაში. თუმცა, სხვა შემთხვევებში, სტუდენტებმა განაცხადეს, რომ ჯგუფის ყველა წევრმა მიიღო ერთნაირი ნიშანი, ინდივიდუალური მონაწილეობის მიუხედავად. ასეთ შემთხვევებში, თუ ლექტორს ან სტუდენტს სურდა მონაწილეობის გადამოწმება, დამატებითი კითხვების მეშვეობით ხდებოდა ინდივიდის ჩართულობის შეფასება. ეს შეუსაბამობები ქმნის გაურკვევლობას სტუდენტებს შორის, რომლებმაც შეიძლება შეფასების პროცესი უსამართლოდ ჩათვალონ.

